საქართველოს მთავრობის

დადგენილება №203

2022 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა ნუსხების, დაცვის დანიშვნა-გამოყოფის წესისა და დაცვის განხორციელების პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის №73 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა და დაცვის ობიექტთა ნუსხების, დაცვის დანიშვნა-გამოყოფის წესისა და დაცვის განხორციელების პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 თებერვლის №73 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/02/2020, 140080000.10.003.021782) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით გასაზღვრული №2 დანართის („სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაცვის ობიექტთა ნუსხა“) პირველ პუნქტში:

1. „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) საქართველოს გენერალური პროკურატურისა და თბილისის პროკურატურის ადმინისტრაციული შენობები;“.

2. „ც“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ც^{1}“ ქვეპუნქტი:

„ც^{1}) საქართველოს გენერალური პროკურორის საცხოვრებელი ბინა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**